გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 63

2023 წლის 18 აპრილი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბონდო მჭედლიძეს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმებული №4 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბონდო მჭედლიძეს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №4 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დასახლება წმინდაწყალი, მიკრო/რაიონი V მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 31.00 კვ.მ; ს/კ 66.45.05.700) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია ბონდო მჭედლიძის განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული პანმდემიის გამო გაუარესდა მისი ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბონდო მჭედლიძე ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ერთი წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბონდო მჭედლიძეს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის №4 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დასახლება წმინდაწყალი, მიკრო/რაიონი V მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 31.00 კვ.მ; ს/კ 66.45.05.700) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ბონდო მჭედლიძეს შორის 2021 წლის 08 აპრილს გაფორმებული პირობით გამოცხადებული აუქციონის №4 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. გორი, დასახლება წმინდაწყლი, მიკრო/რაიონი V მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 31.00 კვ.მ; ს/კ 66.45.05.700) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**